ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს
საორგანიზაციო კომიტეტი

საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

2014 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ააიპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი (იურ. მისამართი: ქ.თბილისი, ივ. მაჩაბლის ქ. №11. ს/ნ 404404211. ტელ: 2 72 22 72) აცხადებს კონკურსს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის "თბილისი 2015"-ს მონაწილეთათვის საჭირო სპეცტანსაცმლის საუკეთესო დიზაინის გამოვლენის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო თარიღი;
გ) კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნუკალური ნომერი.
მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

2. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ქვემოთ მოყვანილი 14 პოზიციის მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

1. „თბილისი 2015"-ის საყოველთაო სპეციალური ეკიპირება (სპორტული ჟილეტი, შარვალი, კეპი, ჩანთა და საწვიმარი).
2. საორგანიზაციო კომიტეტის თანამშრომლების ეკიპირება (პოლო მაისური, კეპი, შორტი, წინდა, ფეხსაცმელი, ჩანთა)
3. ჟურნალისტის ეკიპირება (ჟილეტი და კეპი)
4. ტექნიკური დელეგატის ეკიპირება-(პოლო მაისური, კეპი, შორტი, შარვალი, წინდა, ფეხსაცმელი და ჩანთა)
5. მსაჯის ეკიპირება (პოლო მაისური, ჩვეულებრივი მაისური, კეპი, წინდა, ფეხსაცმელი, შარვალი, შორტი და ჩანთა)
6. BALL BOY ეკიპირება-(ჩვეულებრივი მაისური, კეპი, შორტი, წინდა, ფეხსაცმელი და ჩანთა)
7. მოხალისე-(პოლო მაისური, ჩვეულებრივი მაისური, კეპი, შორტი, წინდა, სათვალე, ფეხსაცმელი და ჩანთა)
8. უსაფრთხოების სამსახურის ეკიპირება (კეპი და ჟილეტი)
9. სამედიცინო პერსონალის ეკიპირება (სამედიცინო ხალათი და ჩვეულებრივი მაისური)
10. ავტობუსის მძღოლის ეკიპირება (პოლო მაისური, წინდა, ფეხსაცმელი, შარვალი, ჩანთა და კეპი)
11. მეჩირაღდნეების ეკიპირება (პოლო მაისური, შარვალი, წინდა, ფეხსაცმელი, მოსაცმელი და ქუდი)
12. ჩირაღდნის მცვლელის ეკიპირება (მაისური, შორტი, კეპი, წინდა, ფეხსაცმელი და ჩანთა)
13. ტექნიკური პერსონალი (მაისური, კეპი, წინდა, ფეხსაცმელი და ჩანთა)
14. სუვენირები: ჭიქა, თერმოსი, სათვალე, საათი, მარაო, შარფი, პირსახოცი, კალამი, ფანქარი, ბლოკნოტი, ჭიქის დასადები, ფლეშკა, აი ფოუნის კეისი, სპორტული ბოთლი, რეზინის სამაჯური,

ქოლგა, ჩანთა (გვერდზე გადასაკიდი, ნაჭრის, რუგზაკი, ქაღალდის), გასაღების საკიდი, სამკერდე, მაგნიტი, დროშა, ტაშის დასაკრავი, წებოვანი ქაღალდები, დისკი, ქუდი

- ეკიპირების დიზაინის შემუშავების პროცესში ყველა ეკიპირებაში უნდა იყოს გათვალისწინებული „LOOK OF THE FESTIVAL"-ის ფერების ელემენტები (დანართი #1) , მოხალისის ეკიპირების დიზაინის შემუშავების პროცესში უნდა იყოს გამოყენებული მთლიანად LOOK OF THE FESTIVAL-ის ფერები, რაც შეეხება მეჩირაღდნეებს უნდა იყოს თეთრი. მსაჯი-მწვანე. ტექნიკური დელეგატი-ლურჯი. BALL BOY-სასურველია ღია მწვანე. უსაფრთხოების სამსახური- წითელი.
- კონკურსანტმა დიზაინზე მუშაობისას უნდა გაითვალისწინოს ევროპის ოლიმპიური კომიტეტის მიერ დადგენილი ჩაცმულობის რეგულაციები (დანართი #3 Brand book)

3.საკონკუროს წინადადების წარმოდგენის საბოლოო ვადა - 2014 წლის 30 ოქტომბრის 13:00 სთ. საკონკურსო წინადადება უნდა იქნეს წარმოდგენილი დალუქული პაკეტით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №95ა.

4. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

5. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

6.კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

6.1. რეკვიზიტები დანართი #2-ის მიხედვით.

6.2 ინფორმაცია ანალოგიური სახის მომსახურების გაწევის შესახებ.

- პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 4 წლის გამოცდილება ამ სფეროში.

6.3. შესრულებული ნიმუშები თითო ეგზემპლარად.

6.4. წარმოდგენილი ნიმუშების ესკიზი და 3დ მასალა.

6.5. წარმოდგენილი ნიმუშების ხარჯთაღრიცხვა.

6.6. საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის ქვითარი.

7. კონკურსანტს უფლება აქვს თითოეულ სპეცტანსაცმელზე (პოზიციაზე) წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადადება არ განიხილება.

8. გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო კომისია.

9. შეფასება განხორციელდება 10 ბალიანი სისტემით. შეფასების კრიტერიუმები:

- დიზაინერული ნამუშევრის შესრულების ხარისხი - 5 ქულა (მაქს.)
- გამოცდილება - 3 ქულა (მაქს.)
- მასალის ხარისხი - 2 ქულა (მაქს.)

10. ორგანიზაციას უფლება აქვს შეწყვიტოს კონკურსი თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

11. საპრიზო ფონდი : 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

11.1. საპრიზო ფონდი პროპორციულობის პრინციპით გადანაწილდება ზემოაღნიშნულ 14 პოზიციაზე.

11.2. ანგარისწორება : მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

12. დაფინანსების წყარო: ააიპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგ საკონტაქტო პირს: ნინო სტეფანიდი. მობ: 577 098 577. ელ. ფოსტა: marketing@tbilisi2015.com

წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №95ა.

დანართი #1 ფერთა გამა (“LOOK OF THE GAME”)

დანართი #2 რეკვიზიტები

იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: იურიდიული

ან/და ფაქტიური მისამართი: საიდენტიფიკაციო

კოდი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი: ანგარიშის

ნომერი: ტელეფონის

ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ხელმოწერა ———————————— ბ.ა.